პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავზე

დავით კბილაძე პროფესორი

შორენა მეტრეველი ასოცირებული პროფესორი

თამარ კბილაძე ასისტენტ პროფესორი

[1]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, [2]ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, [3]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30 წლიანი პერიოდი საქართველოში გარკვეული სირთულეებით მიმდინარეობდა, განსაკუთრებით მტკივნეული იყო პირველი 10 წელი, როდესაც საშუალოდ ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის აბოსლუტური კლების მაჩვენებელმა შეადგინა 1,5 მლრდ ლარი. მშპ-ს ყოველწლიურმა საშუალო კლებამ 8.91% შეადგინა. მეორე და მესამე ათწლეულებში მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, თუმცა, პირველ ათწლეულში გამოწვეული სირთულეების გამო მთლიანად 30 წლის საშუალო აბსოლუტური მატების ყოველწლიური მაჩვენებელი 114 მლნ ლარი იყო, ხოლო მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 0,4 %.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები ყურადღების გარეშე არ დარჩენია საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს, რომლებმაც საქართველო ეკონომიკური რეფორმების გატარების მხრივ მიიჩნიეს ყველაზე წარმატებულ ქვეყნად პოსტსაბჭოთა სივრცეში. უკანასკნელი დროითი პერიოდების მიხედვით საქართველოს მშპ-ს ზრდა ხასიათდება ორნიშნიანი მაჩვენებლით.

Transformation of the economy of post-communist Georgia on the 30th anniversary of the restoration of independence

David Kbiladze, professor

Shorena Metreveli, Associate Professor

Tamar Kbiladze, Assistant Professor

[1]David Aghmashenebeli University of Georgia, [2]Business and Technology University, [3] Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

30-year period of economic transformation in Georgia took place with certain difficulties; the first 10 years were especially painful, when the absolute annual decrease of the gross domestic product amounted to 1.5 billion GEL. The annual average decline of GDP was 8.91%. In the second and third decades, the situation improved to some extent, however, due to the difficulties caused in the first decade, the annual average absolute growth rate for the entire 30 years was 114 million GEL, and the average annual GDP growth rate was 0.4%.

The successes achieved in the economy of Georgia in recent years is not unnoticed by the International Monetary Fund and the World Bank, which considered Georgia to be the most successful country in the post-Soviet space in terms of economic reforms.

The results could have been better in terms of successful cohabitation, which is delayed in Georgia. According to the last time periods, the growth of the GDP of Georgia is characterized by a double-digit rate.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წლიანი პერიოდი არაერთგვაროვნად გამოიყენეს მასში შემავალმა რესპუბლიკებმა (ამჟამად დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა), კერძოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, რომლებმაც ისტორიისათვის ამ ხანმოკლე პერიოდში, შესამჩნევ სასიკეთო ძვრებს მიაღწიეს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით დანარჩენ ყოფილ რესპუბლიკებზე, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს საბჭოთა იმპერიის ნგრევით გამოწვეული ქაოსი, რასაც რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის ტერიტორიების ნაწილობრივი ოკუპაცია და მშვიდობიანი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება მოჰყვა.

,,საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თეორიულ- პოლიტიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა ის იყო, რომ იდეოლოგიზებული ეკონომიკური დოქტრინა „შოკური თერაპია'' როგორც გარდაქმნების სტრატეგია გამოყენებულ იქნა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციისთვის'' [1]. სამწუხაროდ, მივიღეთ შოკი თერაპიის გარეშე.

საქართველოში, ისე როგორც სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებში მოუმზადებელი შეხვდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას. ადვილი არ ყოფილა ეკონომიკის ტრანსფორმაციის ცვლილება ევოლუციური მოდელის ნაცვლად რევოლუციური მოდელით. ,, სამყარომ შეიძინა ახალი სახელმწიფოები, რომელთაც შეცვალეს თავიანთი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იდეოლოგია და ვექტორი, იგულისხმება პოსტსოციალისტური სახელმწიფოები, რომელთაც არ გააჩნდათ კაპიტალისტური წყობილების პირობებში ფუნქციონირების უნარ-ჩვევები'' [1].

საკუთარი ეკონომიკის ტრანსფორმაციის რთულ და დროში გაჭიანურებულ პროცესს საქართველოში თან დაერთო ეკონომიკური განუსაზღვრელობის, კორონავირუსით, საომარი მოქმედებებითა და სხვა სახის ანომალიური მოვლენებით გამოწვეული სირთულეები, რამაც გაახანგრძლივა სოციალურ - ეკონომიკური კრიზისი.

ახლა შევეცადოთ დავახასიათოთ ქვეყანაში შექმნილი მაკროეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების ტემპები.

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების საწყის ეტაპზე სწრაფად დაქვეითდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. მნიშვნელოვნად შემცირდა დასაქმება და გაიზარდა ინფლაცია. სამამულო ეკონომიკის სწრაფი დემონტაჟის პირობებში მოსახლეობის ყოველდღიური მოხმარების საგნებით უზრუნველყოფაში წამყვანი ადგილი იმპორტმა დაიკავა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია და 1995 წლიდან მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა - ლარი.

1996 წლიდან მოყოლებული შვიდი წლის მანძილზე ქვეყნის მშპ მართალია საშუალოდ ყოველწლიურად 6,6 პროცენტით იზრდებოდა, მაგრამ სახეზე გვქონდა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განვითარების არასასურველი ტემპები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპების პირობებში დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 1996 წლის ივლისში საწარმოთა პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულება და საქართველოს ევრაზიის სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის შეძენა.

ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების შედარებითი გაუმჯობესების ტენდენცია აღინიშნა 2003 – 2008 წლებში. ამავე პერიოდში გრძელდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირების პროცესი და ღრმავდებოდა საერთაშორისო სტრუქტურებთან კავშირები.

ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია, როგორც რუსეთ–საქართველოს საომარმა მოქმედებებმა, ისე მსოფლიო ფინანსურმა (ეკონომიკურმა) კრიზისმა.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმდინარეობის უკეთ დახასიათების მიზნით საჭიროა ეკონომიკის განვითარების დროითი მწკრივების აგება მოვახდინოთ თანაბარი ათწლიანი ინტერვალების მიხედვით.

პირველი 10 წელი ეკონომიკის ტრანსფორმაციიდან

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი ყველაზე რთულად პირველი ათი წლის მანძილზე მიმდინარეობდა.

1 ცხრილში ასახულია მოცემულ პერიოდში ეკონომიკის დაქვეითების მახასიათებელი მაჩვენებლები როგორც საქართველოს ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში [4,5].

ცხრილი 1. ეკონომიკური დაქვეითების სიძლიერე და ხანგრძლივობა 1990 – 1999 წწ.

ქვეყნები	მშპ-ს ინდექსი	მეპ მიმდინარე	ეკონომიკის ყველაზე	ტრანსფორმაციული რეცესიის

	1999 წელს, 1989 – 100%	ფასებში 1 სულზე, აშშ დოლარი, 1990 წ	მეტად დაქვეითების წელი	დაქვეითების ხანგრძლივობა, წელი
უზბეკეთი	92.3	645	1995	5
ბელორუსი	78.2	1686	1995	6
ესტონეთი	75.7	3130	1994	5
ლიეტუვა	65.4	2840	1994	5
ყირგიზეთი	60.4	608	1995	5
ყაზახეთი	60.2	1603	1995	6
ლატვია	60.1	2750	1995	5
რუსეთი	56.1	3480	1998	7
თურქმენეთი	51.2	874	1997	7
აზერბაიჯანი	45.2	1248	1995	6
ტაჯიკეთი	44.1	487	1996	7
სომხეთი	42.5	664	1993	4
უკრაინა	35.7	1569	1999	10
საქართველო	33.8	1407	1994	5
მოლდოვა	30.5	817	1999	7

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მშპ-ს ინდექსი ტრანსფორმაციის პირველი ათი წლის მანძილზე ყველაზე უფრო დაბალი მახასიათებლებით ხასიათდებოდა მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში, თუმცა ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით ყველგან აღინიშნებოდა მშპ-ს მნიშვნელოვანი დაქვეითება.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე, მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა

მთლიანი ეროვნული პროდუქტი მაღალი ნიშნულებით ხასიათდება რუსეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ბელორუსსა და უკრაინაში.

რაც შეეხება საქართველოს, მას ამ მაჩვენებლის მიხედვით ცენტრალური პოზიცია ეჭირა სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებს შორის.

ტრანსფორმაციული რეცესიის დაქვეითების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებს შორის, პირველი ათი წლის მანძილზე 6 წელიწადს შეადგენდა. საქართველოში მოცემული მაჩვენებელი 5 წელი იყო. ეკონომიკის ყველაზე მეტად დაქვეითება საქართველოში დაფიქსირდა 1994 წელს.

ტრანსფორმაციის მეორე ათი წელი

2 ცხრილში მოცემულია მთლიანი დამატებული ღირებულების დარგობრივი სტრუქტურა საქართველოსა და დსთ-ს წევრი ქვეყნების მიხედვით 1999 და 2010 წლებში, პროცენტებში [6].

ცხრილი 2. მთლიანი დამატებული ღირებულების დარგობრივი სტრუქტურა საქართველოსა და დსთ-ს წევრი ქვეყნების მიხედვით 1999 და 2010.

ქვეყნები	მრეწველობა		სოფლის მეურნეობა და თევზის მრეწველობა		მშენებლობა		მომსახურება	
	1999	2010	1999	2010	1999	2010	1999	2010
აზერბაიჯანი	29	56	19	6	11	8	40	30
სომხეთი	23	16	29	19	9	19	39	45
ბელორუსი	32	30	14	9	6	12	49	49
საქართველო	14	13	31	13	4	6	52	68
ყაზახეთი	30	33	29	10	5	8	55	55

ყირგიზეთი	24	22	38	21	3	6	35	51
მოლდოვა	18	15	26	14	4	4	52	67
რუსეთი	32	31	8	4	6	6	55	59
ტაჯიკეთი	24	14	27	21	6	11	43	54
თურქმენეთი	31	53	25	12	12	7	32	28
უზბეკეთი	17	26	34	24	8	6	42	43
უკრაინა	33	26	14	8	5	3	48	63

მოტანილი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის დასაწყისიდან 10 წლის მანძილზე უმეტესი ყოფილი რესპუბლიკების მრეწველობაში დაფიქსირდა შექმნილი დამატებული ღირებულების პროცენტული წილის შემცირების ტენდენცია ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებაში. ასეთი სურათი შეიმჩნევა უმეტესობა ქვეყნებში, გარდა აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთისა. კიდევ უფრო არასახარბიელო ვითარება გამოიკვეთა სოფლის მეურნეობასა და თევზის მრეწველობაში. კერძოდ, ყველა ქვეყნის მიხედვით აღინიშნა დამატებული ღირებულების შემცირება მთლიან დამატებულ ღირებულებაში. საანალიზო პერიოდში მოცემული მაჩვენებლის უმნიშვნელო გამოცოცხლება აღინიშნა მშენებლობაში. უმეტესობა ქვეყნებში დაფიქსირდა მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: უკარაინა, საქართველო, მოლდოვა და ტაჯიკეთი.

არანაკლებ საინტერესოა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე რიგი წლების მიხედვით(ცხრილი 3).

მთლიანი ეროვნული პროდუქტი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე 1999 და 2010 წლებში (მიმდინარე ფასები და სავალუტო კურსები) [7].

ცხრილი 3

ქვეყნები	1999		2010		ინდექსი, რუსეთი =100	
	რანგი	დოლარი	რანგი	დოლარი	1999	2010
ესტონეთი	1	3880	1	14460	220	146
ლატვია	2	2840	2	11620	161	117
ლიეტუვა	3	2980	3	11390	169	115
რუსეთი	4	1760	4	9900	100	100
ყაზახეთი	6	1290	5	7590	73	77
ბელორუსი	5	1400	6	5950	80	60
მოლდოვა	13	400	12	1810	23	18
უკრაინა	8	760	10	3000	43	30
აზერბაიჯანი	12	570	7	5330	32	54
სომხეთი	11	610	9	3200	35	32
საქართველო	7	780	11	2690	44	27
ყირგიზეთი	14	300	14	840	17	8
ტაჯიკეთი	15	180	15	800	10	8
თურქმენეთი	10	620	8	3790	35	38
უზბეკეთი	9	650	13	1280	37	13

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით მაღალია ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რუსეთსა და ბელორუსიაში, ხოლო დაბალი შუა აზიის და ამიერკავკასიის ქვეყნებში.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის მესამე 10 წელი

ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება მესამე ათწლეულში მოცემულია ცხრილი 4-ში [6,9]

ცხრილი 4. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება

ქვეყნები	მოსახლეობის რიცხოვნობა (წლის დასაწყისისათვის), მლნ. კაცი	
	2011	2020
ტაჯიკეთი	7.6	9.5
ყირგიზეთი	5.5	6.6
უზბეკეთი	28.2	34.2
მოლდოვა	3.6	2.6
თურქმენეთი	5.5	6.0
აზერბაიჯანი	9.1	10.1
საქართველო	4.5	3.7
ყაზახეთი	16.4	18.7
სომხეთი	3.29	2.9
ლიეტუვა	3.2	2.8
უკრაინა	45.6	41.6
ლატვია	2.1	1.9
ესტონეთი	1.3	1.3
რუსეთი	142.9	144.1
ბელორუსი	9.5	9.4

ცხრილიდან ჩანს, რომ შუა აზიის ქვეყნებში, რუსეთსა და აზერბაიჯანში მთელი საანალიზო პერიოდის მანძილზე აღინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, დანარჩენ ქვეყნებსა და მათ შორის, საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის კლება.

ქვეყნის სოციალურ პრობლემათა ჩამონათვალში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია უმუშევრობის მაღალი დონე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2018 წელს მოცემული მაჩვენებელი მთელი მოსახლეობის მიხედვით 13.9 % იყო. განსაკუთრებით

მტკივნეულია მოცემული პრობლემა ახალგრზდა ასაკის (15-24 წელი) მოსახლეობისთვის. მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობა 28.9 %-ია (ცხრილი 5).

ცხრილი 5. უმუშევრობის დონე ქვეყნების მთელ მოსახლეობასთან 2020 წლის მონაცემების მიხედვით, (პროცენტულად)[6].

ქვეყნები	%
სომხეთი	20.2
საქართველო	12.1
უკრაინა	9.5
ლიეტუვა	8.4
ლატვია	8.2
ყირგიზეთი	7.9
ტაჯიკეთი	7.5
ესტონეთი	6.5
აზერბაიჯანი	6.3
ყაზახეთი	6.1
უზბეკეთი	6.0
რუსეთი	5.7
ბელორუსი	5.3
მოლდოვა	4.7
თურქმენეთი	4.4

უმუშევრობის მაღალ ნიშნულებს თან ახლავს სიღარიბის საკმაოდ მაღალი დონე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს ფარდობითი სიღარიბის საზღვრებში. ჯინის კოეფიციენტი რომელიც ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობას 2018 წელს იყო 37.9.

გაუმჯობესებას საჭიროებს ადამიანისეული განვითარების ინდექსი და მისი კომპონენტები, რომელთა ამჟამინდელი ნიშნულები მიღწეული იყო ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში.

საქართველოში 2021 წლის შედეგების მიხედვით, დამატებული ღირებულების მთლიან მოცულობაში 16,6% მოდიოდა ვაჭრობაზე. მოცემული საქმიანობის სახე ეკონომიკის ტრანსფორმაციის მთელი პერიოდის მანძილზე ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო დანარჩენი ეკონომიკური საქმიანობის სახეებთან შედარებით. ამის მიუხედავად, ვაჭრობის დამატებული ღირებულების პროცენტული წილი 2010 წელთან შედარებით 0.9%-ით არის შემცირებული. ეკონომიკის სტრუქტურაში შემდეგი საქმიანობის სახე ეს არის დამამუშავებელი მრეწველობა, რომელსაც 11.6% უჭირავს მთლიანი ქვეყნის დამატებულ ღირებულებაში და ეს მაჩვენებელი 1.3%-ული პუნქტითაა გაზრდილი 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. საქმიანობის სახეობათა რეიტინგში შემდეგი ადგილი უჭირავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, მის წილად მოდიოდა მთლიანი დამატებული ღირებულების 10,2% და მოცემული მაჩვენებელი შენარჩუნებულია 2010 წლის დონეზე. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების 2021 წლის ტოპ ხუთეულში გაჩნდა მშენებლობა, რომლის პროცენტული წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 8%-ია. 2021 წლის საქმიანობათა სახეობის ჩამონათვალში ტრადიციულად მაღალ პროცენტულ წილს ინარჩუნებს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7%). თუმცა, ეს მაჩვენებელი 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 2,6%-ით.

საქართველოს მშპ-ს განაწილება ეკონომიკური ტრანსფორმაციის ათწლიანი პერიოდების მიხედვით მოცემულია ცხრილი 6-ში [12]

ცხრილი 6

წლები	მშპ საშუალო წლიური აბსოლუტური მატება 2010 წლის მუდმივ ფასებში (მლნ.ლარი)	მშპ საშუალო წლიური ზრდის ტემპები, პროცენტობით

1990- 2000	-1500.4	91.09
2001-2011	906.0	106.59
2012-2021	875.4	103.70
1990-2021	114.0	100.43

დასკვნა:

როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, პოსტსოციალისტური საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამი მოტანილი ეტაპიდან ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით აღინიშნება წარმატება, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მთლიან შიდა პროდუქტს. თუმცა, საქართველოს ეკონომიკა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშეა.

ლიტერატურა:

1. ნოდარ ჭითანავა, გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები, თბილისი, 2021
2. ნოდარ ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბილისი, 2018
3. ნოდარ ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. გამომცემლობა ივერიონი, თბილისი, 2012 წ;
4. Колобко Г., Сборник материалов конференции, Постсоциалистические страны в условиях глобализации, 2001: 64-78;
5. Герасимова РГ. Сравнительный анализ экономического развития и рыночных реформ в странах с переходной экономикой в 1990-2009 годы (Doctoral dissertation, Институт Европы Российской академии наук). 2010.
6. Юбилейный статистический сборник Статкомитета СНГ «20 лет Содружеству Независим ых Государств 1991-2010… Межгосударственный статистический комитет, 2011. – 516с
7. World Bank. New country classifications by income level: 2018-2019. World Bank Blogs: 2018. July 1

8. IMF. Georgia: Fourth review under the extended fund facility arrangement and request for modifications of quantitative performance criteria. IMF Country Report, No. 19/171. 2019 https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2019/06/19/ Georgia-Fourth-Review-Under-the-Extended-Fund-Facility-Arrangement-andRequest-for-47008
9. Voluntary National Review, Georgia: 2020.
10. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1988 წ, სტატისტიკური წელიწდეული, გამომცემლობა "საქართველო", თბილისი, 1990
11. Народное хозяйство СССР 1990. Госкомстат СССР, Москва, Финансы и статистика, 1991
12. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2021, https://www.geostat.ge/ka/single-archive/3385#